# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 263 ხუთშაბათი, 26 ნოემბერი 1909 წ. № 263

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვით განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


თავზარდაცემული მეუღლე მართა სტეფანეს ასული დათეშიძისა, შვილები: რაჟდენ ოჯახობით, კოწია, ელისაბედ, პავლე, ვანო, გრიგოლ, თამარ და სტეფანე დათეშიძეები და ირინე და და სიძე ლევან გეგელაშვილები, დისწულები იასონ, ნიკო, ისიდორე, ელენე და გრიგოლ გეგელაშვილები, ცოლის ძმები სიპიტო, მელიტონ და გრიგოლ ჯაფარიძეები ოჯახობით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 22 ნოემბერს დილით ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

## ყარამან ბესარიონის ძე დათეშიძე.

პანაშვიდები ყოველდღე, ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ სახლში (ქუთაისში, გაბაშვილის გორაზე), ხოლო ხუთშაბათს, 26 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, გამოსვენება და დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. (1—კვ.—1)

ლიზა მაჭარობელის ასული ბერაძისა, კოლია და მარგარიტა ივანეს ასულნი ბერაძენი, ეფროსინე ნიკოლოზის ასული კალაძისა, ივდითი ნიკოლოზის ასული ქართველიშვილისა, აგრაფინა ნიკოლოზის ასული ბერაძე, გიორგი, გრიგოლ და ანტონ ბერაძეები და ბეგლარ მიხეილის ძე ქართველიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ უდროოდ გარდაცვალებას ამა 23 ნოემბერს

## ივანე ნიკოლოზის ძის ბერაძისას,

პირველი—ძვირფასს მეუღლისას, მეორე და მესამე—საყვარელ მამისა, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე—დაუვიწყარ ძმისა, მეშვიდე, მერვე და მეცხრე—საყვარელ ძმის-წულისა და მეათე—დაუვიწყარ ცოლის ძმისა. გასვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 26 ნოემბერს დაბა სამტრედიაში. (0—2)

წარმოდგენა № 18. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 18.

აბონიმენტი 7-დე

ხუთშაბათს, 26 ნოემბერს 1909 წელს.

**წარმოდგენის წინ ივ. გომართელი წაიკითხავს ი. შილლერის ბიოგრაფიას** ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ი. ფ. შილლერის დაბადების 150 წ. თავის აღსანიშნავად**

## ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქმედ. თარგ. ავალიშვილისა.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი მ. მძივანი; ბ-ნნი ს. სვიმონიძე, ვ. გამყრელიძე, ბ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-სამშელი, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. ხაფაროვი მეურვანიშვილი, ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „ნერონი", ტრაგედია კოსსისა. „სამეგრელოს მთავარი ლევან", „გიორგი მესამე".

**მორიგი რეჟისორი კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშა. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე; გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლე[illegible] 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—47)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—214)

## ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ყოფილი სახლი კარაკოზოვისა კრუზენშტეინის ქუჩაზე (სასტუმრო „ანგლეტერი"). გოლოვინსკის ახლო.

## იძლევა ქირით ან იყიდება.

(5—უ.—4)

## მოწოდება

წელს, 18 ოქტომბერს, ღამე, დაბა სურამში, ტფილისის გუბერნიაში, **გ დაიწვა მთელი უბანი** ებრაელებისა და ნაწილი სომხებისა. გადაიწვა 120 კომლი და 130 ოჯახზე მეტი უბინაოდ დარჩა—დაეწვათ საკვები, ტანთსაცმელი და მთელი ავლადიდება. ცეცხლმა შთანთქა აგრეთვე სამი სამლოცველო სახლი და ორი სკოლა ებრაელებისა

მოწყალე ადამიანებო! მოგმართავთ გადამწვართა სახელით: მოხედეთ ჩვენ უნუგეშო მდგომარეობას და გაიღეთ წვლილი უბედურთა დასახმარებლად. აღარა გვაქვს სალოცავი სახლი, თავშესაფარი ბინა, ტანთსაცმელი, ბავშვებისთვის სკოლა, საჭმელი—ყველაფერი ცეცხლმა შთანთქა.

ყოველი შემოწირულება მიიღება დიდის მადლობით. შემოწირულება უნდა გამოიგზავნოს დ. სურამში დაზარალებულთათვის ფულის შემკრებ კომიტეტის სახელზე. (7—უ—5)

საღესასწაულო **ქართული თეატრი** წარმოდგენა

**კვირას, 29 ნოემბერს 1909 წ.**

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად**

**დილით:**

გადახდილი იქნება დღესასწაული გუნდისა და ორკესტრის მისალმებით, შემდეგ მიულოცავენ დაწესებულებათა, საზოგადოებათა და სხ. დეპუტაციები. გუნდი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და ორკესტრი **ზ. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით. დილის მილოცვათა შორის, მომღერალი **ა. პ. სარაჯიშვილი** იუბილიარს უმღერებს თავისს ადრესს. დილის დღესასწაული დაიწყება 12 საათზე.

**საღამოთი:**

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით ქართულ დრამ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

1. **ორი ობოლი,** მე-5-ე მოქმედება, დენიერისა, თარგმანი ავქ. ცაგარლისა.
2. **დაქცეული ოჯახი,** მე-3-ე მოქმედება, გ. სუნდუკიანცისა.
3. **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** დღესასწაულის გადახდა და მილოცვა ქართველ მხახიობ. მიერ
4. **ხანუმა,** 1-ლ მოქ., თხზ. ა. ცაგარლისა.

დასასრულ **აპოთეოზი**

წარმოდგენის მთელი შემოსავალი და აგრეთვე ფულით შემოწირულებანი გადაეცემა ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მოხუცებულების უზრუნველსაყოფელ ფონდის გასაძლიერებლად.

ფულით შემოწირულებანი უნდა გაიგზავნოს სადღესასწაულო კომიტეტის ხაზინადრის ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის სახელზე,

ბილეთები იყიდება 20 ნოემბრიდან ქართულ თეატრის კასაში.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა და სადღესასწაულო კომიტეტი.

## ქუთაისის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ტფილისის აგენტურა ამა ბანკისა გადავიდა ახალ ბინაზე—ვერის დაღმართი, სახ. № 7, შრომის ბირჟის პირდაპირ, სადაც შეიძლება ყოველივე ცნობების მიღება, და მოლაპარაკება ბანკის ოპერაციების შესახებ. (3—6.—3)

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიეისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—69)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ მეძგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის მეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—55)

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა** იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—ნ.—7)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—110)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—304)

**ექიმი მ. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. პელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—61)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი **მ. ტ. ბალანჩივაძისა.**

ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს. ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჰილაძის სახლებში. (25—ნ.—6)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—66)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—52)

**დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი:**

## „ნატო გაბუნია"

30 წლ. სასცენო მოღვაწეობის სახსოვრად

**გამოცემა ქარ. დრ. საზ—სა**

**ფასი 30 კ.**

ვინც ათზე მეტს იყიდის, მანათზე 20% დაეთმობა. საწყობი დრამ. საზ. კანტორაში. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора груз. драмат. об-ва. (10—1)

## წარსულის გაკვეთილი

2.*)

ჩვენი ინტელიგენციის აზროვნება განსაზღვრულ ხანაში თავად-აზნაურული აზროვნება იყო. როდესაც ძლიერნი ამა ქვეყნისა ქართველ თავად-აზნაურობის მისალმებისთვის ანუ უუქვეშევრდომილეს გრძნობების გამოცხადებისათვის რაინდს და გმირს უწოდებდნენ, ამაზე მეტი საჩუქარი და მადლობა არ უნდოდათ ჩვენს თავადებს. სიხარულით სძგერდა და დნებოდა თავადის გული. ამგვარივე ემართებოდა ჩვენს ინტელიგენციას, როდესაც გამოვიდოდა ვინმე გენერალი ფადეევი და იტყოდა—ნამდვილი ქართველი ამავე დროს ნამდვილი რუსი უნდა იყოსო. ინტელიგენტი ზეცას ეწვინებოდა,—ხომ გესმით, რუსის გენერალმა ბრძანა, ქართველობა სათაკილო რამ არა ყოფილა, ისიც მოუხსენებია ქართველს ქართველობა ჰქმნის რუსადო. პატივცემულ გენერალს აღარავინ ეკითხებოდა, თუ რას ნიშნავს მის თვალში „ქართველობა". რომ სცოდნოდა გენერალს, თუ რა პოლიტიკური პირობებია საჭირო იმისთვის, რომ ქართველი ქართველად დარჩეს, კომპლიმენტებს თავს დაანებებდა. მაგრამ ამას არავინ ჰკითხავდა, ორივე მხარე კმაყოფილი რჩებოდა. ჩვენი ინტელიგენცია ძალიან მორცხვი და მადლიერი არსებაა. ვინმემ ოდნავად რომ ალერსი ანუ კეკლუცობა დაუწყოს, სიხარულით შეწითლდება და გასათხოვარ ქალსავით თვალების წამწამებს ქვევით დასწევს. მოარშიყეებმაც გაუგეს ეს ხასიათი და ხან ერთი, ხან მეორე გამოუტყვრებოდა ხოლმე, ნაზად ხელს გადუსვამდა და დარცხვენილ მიჯნურს აქეზებდა:—ფიქრი ნუ გაქვს, რაინდო, იყავ ქართველი და გახდები ნამდვილი რუსიო. და „მოარშიყეს" ანგარიში არც ისე უანგარიშო იყო. ქართველი ინტელიგენტი, „არშიყობით" გაბედნიერებული, თავზე ხელის გადასმით წაქეზებული, სრულიად ივიწყებდა იმის გაგებას და დეშიფრაციას, თუ რა შინაარს ჰხავს სიტყვა „ქართველობა".

დიმიტრი ყიფიანი ერთი იმ ქართველ ინტელიგენტთაგანი იყო, რომელსაც უნდოდა ბოლო მოეღო ამ „არშიყობის" და „რაინდობის" პოლიტიკისათვის. დიაღ, ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ამავე დროს ქართველნი, ჰფიქრობდა ყიფიანი. ქართველობით გვინდა გამოვიდეთ კულტურულ ასპარეზზე. მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ „ქართველობა" მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართულ ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო. იმ ხანებში უფრო ფართოდ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ახლად ფეხადგმული იყო და საზოგადოებას არც ძალა, არც სიმწიფე, არც ცოდნა ჰქონდა ჯერ ხნობით პოლიტიკო-ეროვნულ მოთხოვნათა წამოყენებისათვის. დიმ. ყიფიანმა აღლო აუღო ძველ დროის ვითარებას და უგუნურ რაინდობას, რომელიც ამბობდა: გაძლევ ყველაფერს და ბედნიერი ვარ შენის ღიმილითაო, ამ პოლიტიკას შეებრძოლა არა სიტყვით და ფრაზებით, არამედ საქმით, პირადის მაგალითით.

1885 წელს ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლად იყო დიმიტრი ყიფიანი ამავე წელს საქართველოში მოვიდა პატარა-ხნით ნამესტნიკად ნამყოფი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. იმ ხანებში კავკასიის მთავარ-მმართებლად თავ. დონდუკოვ კორსაკოვი იყო, რომელიც არა სწყალობდა ქართველებს და რაც კი შეეძლო, სდევნიდა მათ. სამსახურში ქართველებს აღარ იღებდნენ, სკოლებიდან და ეკლესიიდან ქართული ენა განდევნეს, სამეგრელოსა და აფხაზეთში მეგრულ და აფხაზურ პატრიოტიზმის დანერგვას სცდილობდნენ. ერთის სიტყვით, ქართველების დევნა სისტემად გადაიქცა. დონდუკოვ-კორსაკოვს სამოსწავლო ოლქიც აძლევდა მხარს და ხმის ამომღები კი არავინ ისმოდა. დიდი მთავრის მიხეილის მოსვლით ისარგებლა დიმიტრი ყიფიანმა და შესჩივლა, ასე და ასე ჩვენი საქმე არ გვცდის, ჩვენს თავს რა უბედურება დაატყდაო. ფიცისთვის ჩვენ არ გვიღალატნია, წინანდებურად ერთგულნი ვართ და იმპერატორი კი თითქოს გვიწყრებაო. დიდმა მთავარმა დაამშვიდა და უთხრა, იმპერატორს ქართველებზე აზრი არ შეუცვლია და იმედი გქონდეთ მისიო. თავ. დონდუკოვ-კორსაკოვს არ მოსწონებია ეს საჩივარის მსგზავსი ლაპარაკი და მ[illegible] რი ყიფ[illegible]ანისა. თავისი უკმაყ[illegible]

*) იხ. „დროება" N 262.

**ექიმი ვასილ წერეთელი** [illegible] იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მღზე ქიქოძის სახლი. (0—უ.—57)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—115)

**ექიმი ვ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს. მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—53)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ,' სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—[illegible]ებ., ქალ., ყოველდღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის წრატით. (00—ნ.—120)

## მებაღეობა ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეთულ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел. Дороги, (15—ფ—9)

სწავლა-განათლების მინისტრს გრაფ დიმიტრი ტოლსტოის აცნობა. რაიცა შეეხება დიმიტრი ყიფიანს, უბრძანა მოეხსენებინა მისთვის ის, თუ რამ აიძულა დიდ მთავარს რომ შესჩივლა და, რა დავა ჰქონდა მას სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან, იანოვსკისთან. დიმიტრი ყიფიანმა პასუხად მთავარმართებელს მისწერა შემდეგი.

„თავ. დონდუკოვ-კორსაკოვს.

17 დეკემბრის შეკითხვით თქვენმა ბრწყინვალებამ მიბრძანა დაწვრილებით მომეხსენებინა თქვენთვის იმის შესახებ, თუ რამ მაიძულა დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს რომ მოვახსენე ის, რაც მოვახსენე.

ამიტომ 30 დეკემბრის ჩემი მოხსენების შესავსებლად მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მაშინ მე ორგვარი ფაქტი მქონდა მხედველობაში:

1) დაბრკოლებანი სახელმწიფო სამსახურის დროს და 2) სახალხო განათლების საქმეში უცნაური მოვლენანი.

ის რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში მართლაც ახდენდნენ შეუფერებელ განკარგულებებს, ეს თქვენმა ბრწყინვალებამ თვითონ კეთილ ინება და მითხრა ლაპარაკის დროს 23 ოქტომბერს ტფილისში. ხოლო შემდეგ სავსებით გამოირკვა, რომ ეს განკარგულებანი საკუთრივ ქართველებს არ ეხებოდნენ.

ამიტომ ამ ფაქტების შესახებ კითხვა, განსაკუთრებით თქვენი შეკითხვის შემდეგ, სავსებით უკუგდებულად მიმაჩნია. და თუ ვიხსენიებ ამ ჟამად, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ მიბრძანებთ ამის გამო განმარტება მოგახსენოთ.

სრულიად სხვაგვარია მეორე ხასიათის ფაქტები. ამის შესახებ მე ვწერდი 11 ოქტომბერს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და ეს ჩემი წერილი თქვენს ბრწყინვალებას მიაჩნია უსაფუძვლო წერილად და არშესაფერ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში და შემლახველ იმ პირის ღირსებისა, რომელთანაც იგია მიწერილი.

მაგრამ ვბედავ და მოვახსენებ თქვენს ბრწყინვალებას კანონით განსაზღვრულ ჩემი თანამდებობის ღირსების დაცვის გულისთვის: ბ-ნმა მზრუნველმა თვითონ მომმართა და მთხოვა განმარტება იმ საკითხის გამო, რომელიც მას ჩემზე მიუწერიათ და მთხოვა განმარტება ისეთის კილოთი, რა კილოთიც თავად-აზნაურთა წინამძღოლს, გარდა სენატისა, არავის არა აქვს უფლება ელაპარაკოს. ჩვენი სამსახურის მდგომარეობა კი იმნაირია, რომ იგი არ ჰგულისხმობს ერთის დამოკიდებულებას ან ხელქვეითობას მეორისაგან.

თუ რომ მე ამაში ვცდები და სწორედ არ მესმის ჩემი თანამდებობის ღირსება—თუმცა არა მგონია, რომ ეს ასე იყოს,—არის სხვა მიზეზიც, რის გამო პასუხი არ გამიცია ბ-ნ მზრუნველისათვის. მე საჩივარით კი არ მომმართეს, რომელსაც არც კი განვიხილავდი, არამედ იმ გვარ ცნობებით, რომელთა გამო (9 ტომის კანონ. კრებ. 10 პარ. 293 სტ. მიხედვით) გულგრილობა არ უნდა გამოეჩინა. ცნობები ამგვარია:

ა) 1881 წელს იანვარში ყოფილ კავკასიის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული იყო სამოსწავლო გეგმა, რომლის ძალით სახალხო სკოლებში სწავლა ორი წლის განმავლობაში სამშობლო ენაზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი. მაგრამ 1885 წელს ეს გეგმა გაუქმებულ იქმნა არა იმ პირით, ვისაც ნამესტნიკის შემდეგ ჰქონდა ჩაბარებული მმართველობის უფლება, არამედ ადგილობრივ სამოსწავლო დაწესებულებით. ბ) 1885 წელს ივნისში სამაზრო პოლიციის განკარგულებით, რომელიც იმავ სამოსწავლო მმართველობიდან მომდინარეობდა, სოფლის საზოგადოებათ გამოუცხადეს, რომ ვისაც სურს თავისი შვილი სოფლის ნორმალურ სკოლაში მიაბაროს, სამშობლო ენაზე წერა-კითხვა წინდაწინვე სახლში უნდა ასწავლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი სკოლაში მიღებული არ იქნებაო. ს) ერთ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ადგილობრივ მკვიდრთათვის იყო დაარსებული, ამ მკვიდრთა შვილებს 15 აგვისტოდან აღარ იღებენ. და იღებდნენ იქ ჩრდილოეთ კავკასიიდან და სტავროპოლის გუბერნიიდან, და გზის ხარჯსაც თვით სასწავლებელი იხდიდა. ღ) ერთი საშუალო სასწავლებელს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ამ სასწავლებლის პანსიონში, რომელიც იდგილობრივ თავად-აზნაურთა შვილებისთვის იყო დაარსებული, მიიღონ სამსახურ გათავებულ სალდათის შვილები.

ყველა ამ ცნობების შემოწმება იყო საჭირო. უამისოდ მათ მე ვერავითარ მსვლელობას ვერ მივცემდი. მაშასადამე, დავალებული არ ვიყავი მეცნობებინა სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის. ეხლა კი, როდესაც ყველა ამ ხასიათის საკითხს ექვიანობით უყურებენ, შემოწმების იმედი სრულიად დამეკარგა.

თქვენი ბრწყინვალების საყურადღებოდ ვახსენებ ყველა ამას მხოლოდ თქვენი ბრძანების მიხედვით. ხოლო ჩემს თავზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ყოველი ეს ჭეშმარიტებაა.

მაგრამ შემიძლიან მოგახსენოთ ერთი შეურყეველი და ახალი ფაქტი, რომელიც იმას გვეუბნება, რომ არსებობს მიდრეკილება ქართულ ენის დევნისა.

მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და კულტურული ენა სამეგრელოში. და იქ ყველას ესმის ეს ენა. ამ ჟამად კი იქ ახალ კულტურას ჰნერგავენ—მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით. ასე რომ გავყვეთ, შეიძლება შეჰქმნან ახალი კულტურები აჭარლებისა, ფშავხევსურებისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. სასარგებლო კი იქნება ყოველივე ეს იმ მთავრობისათვის, რომელმაც თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა მრავალტანჯული მართლმადიდებელი საქართველო, რისთვისაც უსაზღვრო მადლობა და ერთგულობა დაიმსახურა?

მე ჩემს წმინდა მოვალეობად ვსთვლი მუდამ ამ მადლობისა და ერთგულობის გრძნობაზე ვიდგე (неуклонно стоять за эту благодарность и вѣрность) და სწორეთ რომ არ მესმის, რატომ მიწყრებიან ამის გულისთვის (и только недоумѣваю, когда негодують на меня за это).

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი“.

ომი გამოცხადდა. კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციისათვის სრულიად უჩვევი იყო ის დამოუკიდებელი კილო, რომლითაც მას დაუწყეს ლაპარაკი. დიმიტრი ყიფიანისთვის კი ეჭვი აღარ იყო, რომ ყოველივე თვალთმაქცობაა და რომ ქართველების მხრივ მორჩილ ქვეშევრდომობის მეტს არას ითხოვდნენ. მამულისშვილობის პრინციპი და ინტერესი არ აინტერესებდათ, და არა თუ არ აინტერესებდათ, წინააღმდეგნიც იყვნენ ყველაფრისა, რაც გარუსების პოლიტიკას დაბრკოლებას უჩენდა. დიმიტრი ყიფიანის წინ დრამატიული სურათი იშლებოდა. ერთის მხრივ, ქართველ ინტელიგენტის გაოცებული და დაღვრემილი სახე მოსჩანდა, გაცრუებული ოცნება და მოტყუებული სინიდისი გამოსჭვრეტდა. მეორეს მხრივ კი, მრისხანე, უძლები ბატონი, რომლისთვისაც არ არსებობდა არც სინიდისის, არც პატიოსნების, არც რაინდობის საკითხი. უნუგეშო და სუსხიანი დრო დგებოდა. თავ. დონდუკოვ კორსაკოვის დაბეზღებამაც უმაღლეს მთავრობის წინაშე უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი და დ. ყიფიანს ხელმწიფისაგან გაკიცხვა შეუთვალეს. აი ის პასუხიც, რომელიც მოსწერა მინისტრმა დიმიტრი ტოლსტოიმ თავ დონდუკოვს:

„მოწყალეო ხელმწიფევ თავადო ალექსანდრე მიხეილისძევ!

ხელმწიფე იმპერატორმა, წაიკითხა რა თქვენი ბრწყინვალების მოხსენება მის იმპ. უმაღ. დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ამა შემოდგომაზე ყოფნის შესახებ კავკასიაში, ბრძანა, რომ დიდ მთავარს სრულიად საფუძვლიანად უთქვამს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის, რომ ხელმწიფე იმპერატორი სავსებით დარწმუნებულია ქართველების ერთგულობაში ტახტისადმი და რომ, თავის მამის და პაპის მსგავსად, არ მოაკლებს მათ თავის წყალობას. და რაკი ყოველივე ეს უტყუარია, დიდ მთავარს სრული უფლება ჰქონდა დაევალებინა მისთვის ყველას საყურადღებოდ გადაეცა ეს. მაგრამ დიდი მთავრის მიერ თქმული სიტყვები სრულიად არ ავალებდნენ ბ-ნ ყიფიანს ჩაწერას იმ სიტყვებისა, რომელნიც კერძო ლაპარაკში იყვნენ გამოთქმულნი ბორჯომში, არ ავალებდნენ ამ სიტყვების წერილობით გავრცელებას და წერილობითი ოფიციალურად გადაცემას დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში.

ხელმწიფე იმპერატორი, სცნობს რა ბ-ნ ყიფიანის ამგვარ მოქმედებას უადგილოდ, თქვენს ბრწყინვალებას ავალებს გამოუცხადოს მას შესაფერი გაკიცხვა (сдѣлать ему должное внушеніе).

მიიღეთ და სხვ. გრაფი დ. ტოლსტოი.

13 დეკემბერი 1885 წ.“.

დიმიტრი ყიფიანი, ერთგული მსახური მთავრობისა, გაჰკიცხეს და დაჰგმეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაჰბედა და ხმა ამოიღო ქართველ ინტერესების დასაცავად. ეს არ იყო ერის ისტორიულ ან პოლიტიკურ უფლებათა შესახებ ლაპარაკი, არამედ თავშეკავებული, თუმცა მტკიცე სურვილი ქართული ენის დაცვისა სახალხო სკოლებში და სურვილი ქართველების რუსებთან გათანასწორებისა კანონის წინაშე. ძველ ფორმულას „ერთგულება—მამულიშვილობას“ ერთბაშად ახალი სინათლე მოეფინა. „ერთგულება“ ჰგულისხმობდა თურმე პიროვნების სრულ თავგანწირულებას.

„მამულისშვილობა“ კი მეტად გაუგებარი და ორჭოფი რამ ხდებოდა. „ერთგულება“ მოითხოვდა მოვალეობის და მარტო მოვალეობის აღსრულებას, „მამულისშვილობას“ მოვალეობაზე არ შეეძლო ლაპარაკი.

და დიმიტრი ყიფიანის წინაშე წარმოსდგა მწვავე და მძიმე განსაცდელი. ან ქედის მოხრა, უარ-ჰყოფა პრინციპისა, ან მორჩილება უსიტყვო, დამამცირებელი, სინიდისის და პატიოსნების შემლახველი. ამ ხანაში დიმიტრი უკვე 73 წლის მოხუცი იყო, და ამ მოხუცმა ქედის მოხრა არ მოინდომა.

1886 წელს შევიწროვება ქართველებისა ტფილისის სემინარიაში ყოველ ზომას გადაცილებული იყო. ჯერ კიდევ 1885 წელს აქცევდა დ. ყიფიანი მთავარ-მართებელის ყურადღებას, რომ სემინარიაში, რომელიც ქართველებისთვის არის დაარსებული, ქართველებს აღარ იღებდნენ. რიცხვის შემცირებასთან ერთად ქართულ ლაპარაკსაც უშლიდნენ სემინარისტებს. სემინარიის რექტორად იყო იმ დროს ჩუდეცკი. და აი ერთ დღეს რექტორი სემინარიისა მოჰკლეს. მკვლელი აღმოჩნდა ქართველი სემინარიელი ლაღიაშვილი. ეს იყო საქართველოში პირველი პოლიტიკური მკვლელობა, გამოწვეული რეპრესიებით და შეუწყნარებელის პოლიტიკით.

აღშფოთდა საზოგადოება და თანაც შიშით მოიცა მისი გული. განრისხდა მთავრობა. საქართველოს ეგზარხოსმა პავლემ თავის სამწყოსადმი სასულიერო პირისათვის არ შესაფერი გულისწყრომა და სიძულვილი გამოიჩინა. ჩუდეცკის გასვენების დროს მან სიტყვა წარმოსთქვა და დასწყევლა და შეაჩვენა ქართველი ერი, რომლის წრიდან მკვლელი გამოვიდა. აქაც დიმიტრი ყიფიანმა აიმაღლა ხმა და ეგზარხოს შემდეგი წერილი მისწერა:

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მიიღეთ მწყემს-მთავრული მოწყალება და თუ, გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოთ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულისა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენელისაგან.

იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოლოში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უცოდველსს სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით.

თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემრაცხყოფელი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გაყვანილი. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოსა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან აიცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება.

ხოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენის მწყემს-მთავრულის ხელით.

თქვენი მაღალსამღვდელოების მორჩილი მსახური **დიმიტრი ყიფიანი.**

8 ივნისს 1886 წელ. სად. მიხაილოვკა».

ეგზარხოსმა პავლემ მეორე დღესვე წერილობითვე მისცა პასუხი დიმიტრი ყიფიანს.

„მოწყალეო ხელმწიფევ, დიმიტრი ივანის ძევ!

თქვენი აღმატებულებისაგან ჩემდამი 8 ამა ივნისს მოწერილ უცნაურ წერილის გამო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემი სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ჩუდეცკის გასვენების დროს დაბეჭდილია გაზ. „კავკაზში“ № 139. რაც შეეხება უგუნურ (нелѣпыхъ) ხმებს, რომლებსაც თქვენს წერილში იხსენიებთ, ჩემ ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია მოგახსენოთ რაიმე განმარტება.

თქვენი აღმატებულების მორჩილი მსახური **პავლე არხიეპისკოპოსი**, საქართველოს ეგზარხოსი.

9 ივნისს 1886 წელს“.

რაც მოხდა ამის შემდეგ, ამ ტრაგიკულ ეპოპეის ბოლოდ ჩაითვლება. დიმიტრი ყიფიანს წინამძღოლობის თანამდებობა ჩამოართვეს და საცხოვრებლად სტავროპოლში გახიზნეს. სტავროპოლში დიდხანს არ დაჰყო მოხუცმა დიმიტრიმ. 1887 წელს ოქტომბრის მიწურულებში ტფილისში დეპეშით თავზესაზარი ამბავი მოვიდა: „დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს ღამე 24 ოქტომბერს, მძინარე. თავში დაუციათ სასწორის ქვა“. კორესპონდენტები ამ მკვლელობის შესახებ იწერებოდნენ. „გამოძიება ერთს საოცარს ამბავს მიადგა... დიმიტრისთან ძლიერ ხშირად დაიარებოდა უკანასკნელს დროს ერთი საეჭვო კაცი, ნაცრის ფერი პალტო ეცვა. ეს კაცი გადაეკიდა დიმიტრისა და მოსვენებას არ აძლევდა მოხუცსა“. მკვლელობის შემდეგ ნაცრის ფერის პალტო სადღაც გაჰქრა. მისი ბინა ზოგიერთებმა თუმცა იცოდნენ, მაგრამ არ ამხელდნენ, ჩვენც არ მოგვკლანო. (იხ. „ივერია“ № 234. 1887 წ.). ტფილისშიაც უცნაური ამბავი მოხდა. ტფილისის ქალაქის თავს მატინოვს დაუნიშნავს პანაშვიდი დ. ყიფიანის სულის მოსახსენებლად 4 ნოემბერს კლასიკურ პირველ გიმნაზიის ეკლესიაში. (დ. ყიფიანი მატინოვის წინ იყო ტფილისის მოურავად და ათი წლის განმავლობაში პირველ გიმნაზიის საპატიო მზრუნველად ითვლებოდა). 4 ნოემბერს პატივის მცემელნი გაემგზავრნენ დანიშნულ ეკლესიისაკენ, მაგრამ იქ აღმოჩნდა, რომ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო შეუძლებელი იყო პანაშვიდის გადახდა. („ივერია“ № 231) ეს პანაშვიდი იმავე დღეს გადაიხადეს კალოუბნის ეკლესიაში.

ყოველივე აშკარა და ნათელი გახდა. ნათელი გახდა არა მარტო ის, რომ მოკვდა პატიოსანი და კეთილშობილი მოხუცი, არამედ ისიც, რომ მასთან ერთად მოკვდა სხვა რამეც,—ის, რაც ინტელიგენციის მოქმედებას აზრს და შინაარს აძლევდა. მოჰკლეს დიმიტრი, ხოლო ამასთან მოჰკლეს პოლიტიკურ სარწმუნოების სიმბოლო, რომელზედაც პირველ ადგილზე ერთგულ—ქვეშევრდომობის მოვალეობა ეწერა. ამ დროიდან იწყება ქართველ ინტელიგენციის გულში ახალი სულიერი მუშაობა, ნების და მოქმედების ახალი ორიენტაცია.

დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობას და წამებრივ სიკვდილს სწორედ ამ ხასიათის დიადი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ისტორია ადამიანის პიროვნებას არ ინდობს. ხშირად დიდ ადამიანის მსხვერპლია საჭიროა ახალ აზრის წარმოშობისათვის. იმ დროინდელ „ივერიას“ თითქმის ესმოდა კიდეც ამ ახალ აზრის შვება, მაგრამ, გარემოების მიხედვით, თქმა ვერ გაებედნა. სამაგიეროდ, სამგლოვიარო ძაძებით შემოსილი, იგი ჰქირისუფლსავით მოსთქვამდა და მწუხარებით დაოსებულ და დაწყლულ ქართველ ინტელიგენტის გულს ნაღვლიან ფიქრებს უმწვავებდა. „ეჰ, ადამიანო,—ამბობს იგი,—რამოდენად უწმინდური ხარ!.. ტყის ნადირს, მხეცს მეტი სიბრალული ექნებოდა, რომ დაინახავდა მისს თოვლით ათეთრებულ თმას, მის ხნიერობით დანაოჭებულს ჰკვანს, მშვიდობიანს და ღრმა ფიქრით და ღრმა ნაღველით აღბეჭდილს სახესა“. (1887 წ. № 225)... „როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის,—განაგრძობს გაზეთი,—თითქო ჩემი და თქვენი წილად ხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითეული ჩვენგანი ჰგრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო; თითქო ვგრძნობთ, რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ვკარგავთო“. (№ 230) კი, ეს ასეა, ხოლო ამგვარი გრძნობა მწევია იმ დრომდე, სანამ ადამიანი პირად მწუხრებას თავს არ დააღწევს და სანამ გონების თვალებს „გულში არ ჩაიბრუნებს თავის თავის განსაკითხავად“. და სწორედ ეს „თვალების ჩაბრუნება“ განიცადა ქართველმა ინტელიგენციამ იმ ხანებში. და „ივერიაც“ ამბობს: „ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა—სრულობა, დიდი ხასიათობა **იმისდა მიუხედავად—ტრიალი ემარჯვათ, თუ ემარცხათ**“. (№ 227). დიმიტრი ყიფიანი დამარცხდა, „ტრიალი არ ემარჯვა“, მაგრამ მისი სიკვდილი სწორედ ის ღერძი აყო, რომელმაც გარდაქმნა და განაახლა ქართველ ინტელიგენციის თვით შეგნება და შემეცნება.

**არჩილ ჯორჯაძე.**

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ვიღაც ნ. დ.-მ და მასთან ერთად სხვებმა ახალგაზრდა პოეტს შანშიაშვილს ცილი დასწამეს და პლაგიატორობა უკიჟინეს. როგორც წინადაც ავღნიშნეთ, ასეთი ცილის-წამება ნაყოფია ან უვიცობისა ან კიდევ შურისა და პირად მტრობისა. სასაცილო უფრო ის არის, რომ ამ საქმეში ყველაზე მეტად თავი გამოიდო „ტიფ. ლისტ.“-მა, იმ გაზეთმა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ლიტერატურა-ხელოვნებასთან და რომლის გონებრივი და სულიერი ავლა-დიდება მხოლოდ განცხადებების სიგრძე-სიგანით გაიზომება. დიაღ, თითო კბილი პოეტს ამ გაზეთის თითქმის ყველა რაინდმა გაჰკრა—ნორდმა და სხვებმა. ერთმა თანამშრომელმა თავის ჭუჭყიანი ხელებით ახალგაზრდა პოეტის გულშიაც კი [illegible] ჩაწყო ფათური და ყოვლად ბინძურად შეეხო იმას, ვისაც ჭაბუკი მგოსანი წრფელის გულით თავის ნაწარმოებს უძღვნის. [illegible] თი რომ მხოლოდ „ტიფ. ლისტ“-თან გაზეთის თანამშრომლებისაგან [illegible] მოსალოდნელი [illegible] ამ შემთხვევაში სანუგეშო მხოლოდ ის არის, რომ ამგვარ და ნ. დ—ს მსგავს ვაჟბატონების ნაჯღაბნი არავის ააშფოთებს და აღელვებს.

ეხლა ამავე საგანს ეხება ბ-ნი ყარიბი გაზეთ „ნაშ კრაი“-ში. ავტორი, სხვათა შორის, სწერს:

ბ-ნმა შანშიაშვილმა ორი კვირის წინად გაზეთ „დროება“-ში დაბეჭდა პატარა პოემა „ოცნების მხარეს“, ეს პოემა, ყოველ ეჭვს გარეშე, ნიჭიერი და სასახელო ნაწარმოებია არა მარტო ქართულ ლიტერატურისათვის, რომელიც ესოდენ დაკნინდა ნიჭით უკანასკნელ ოცი, ოც-და-ათის წლის განმავლობაში.

ასეთ მოვლენას ღარიბ ქართულ ლიტერატურაში თითქოს სიხარული უნდა გამოეწვია ხელოვნების მეგობართა შორის. მაგრამ ჩვენში ასე არ მოხდა. ხელოვნების მეგობრები აღარ აქცევენ ყურადღებას ქართულ ლიტერატურას. ისინი გაერთვნენ მოდაში შესულ რუსულ მწერლებით. და ბ-ნ შანშიაშვილს თავის პოემით დაივიწყებდნენ ყველანი ისევე, როგორც ივიწყებენ საზოგადოდ ამგვარ მოვლენებს ქართულ ლიტერატურაში, რომ პოეტი არ შეჰბრალებოდათ სიბოროტესა და შურს, რომელთაც ყურადღება მიაქციეს ამ ლიტერატურულ ნაწარმოებს.

სიბოროტე და შური ისეთი ალქაჯები არიან, რომელნიც ყოველთვის ცდილობენ ვნება მიაყენონ კაცს, მაგრამ ამასთან სულ სხვას მოიმკიან ხოლმე. ამ ვაჟბატონებმა, წაიკითხეს რა პოემა და ნახეს რა რაოდენიმე მსგავსება მის გმირებსა და როსტანის პოემის „პრინცესა გრიოზას“ გმირებს შორის, მიუსივნენ პოეტს: „თქვენ ლიტერატურული ქურდი ხართ! თქვენი პოემა როსტანისაგან გადაგიწერიათ! თქვენ პლაგიატორობა ჩაგიდენიათ“.

სწორედ ამ სახით და ამ ლექსით სწერდა „მომავალ“-ში ნ. დ., რიღაცით ბრაზ-მორეული იგი უკადრის სიტყვებით ამკობდა პოეტს და გა[illegible]ძახოდა, თუ გინდათ სამედიატორო სასამართლოში დაგიმტკიცებთ, რომ პოემა მოპარულიაო... აი, ამ მოპარვაზე რასა სწერს ბ-ნი ყარიბი.

გინდათ იცოდეთ, რა მსგავსებაა როსტანის „პრინცესა გრიოზასა“ და შანშიაშვილის პოემას შორის? სწორედ ისეთი, როგორც არის საუკეთესო ნაწარმოებს შორის ერთის მხრივ ბაირონისა და მეორეს მხრივ ლერმონტოვისა და პუშკინისა. სწორედ ისეთი, როგორიც არის გოგოლის „სტარ. პომეშჩიკი“-ს, გონჩაროვის „ობლომოვი“ და ილია ჭავჭავაძის საუკეთესო ნაწარმოებს „კაცია-ადამიანი“-ს შორის.

მაგრამ არავის, შურით გაჟღენთილსაც კი, აზრად არ მოსვლია პლაგიატორობა უკიჟინოს ლერმონტოვსა და პუშკინს. ან ვინ გაჰბედავს და იტყვის, რომ ჭავჭავაძემ თავისი უკვდავი ნაწარმოები გოგოლს მოჰპარაო?

მაშ შანშიაშვილი რად უნდა შეადგენდეს გამონაკლისს? რამ გამოიწვია ასეთი უსამართლობა ჭაბუკ-პოეტისადმი, რომელსაც ჯერ არც კი გაუხდია გიმნაზიის ხალათი?

„მისი პოემის მთავარი გმირი ავადმყოფი პოეტია ისევე, როგორც როსტანის დრამის გმირი. პოეტი შანშიაშვილი პოეტ როსტანივით ეძებს თავის იდეალს. პრინც ჟოფრუას ჰყავს მეგობარი პოეტივე. შანშიაშვილის გმირსაც ასეთი მეგობარი ჰყავსო“—გაიძახიან ახალგაზრდა პოეტის ბრალმდებელნი.

მაგრამ აბა ერთი მოიგონონ ამ ბრალმდებლებმა, რამდენჯერ განმეორებულან ბაირონის ტიპები, თუნდაც დონ-ჟუანი, პუშკინის, ლერმონტოვის, ალ. ტოლსტოის ნაწარმოებში. მაშ რად უნდა იყოს გასაკვირველი, თუ შანშიაშვილმა იგივე თემა აიღო შესამუშავებლად, რაც როსტანმა? ესეც არ იყოს, განა დიდი ცოდვაა პოეტისთვის, როსტანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს?

გამოგიტყდებით, როდესაც ვკითხულობდი შანშიაშვილის ნიჭიერად დაწერილს პოემას, ვატყობდი, რომ პოეტი უფრო ნიკოლოზ ბარათაშვილის, ბაირონის და ლერმანტოვის გავლენის ქვეშ იყო. ლეიტ-მოტივი შანშიაშვილის პოემისა—ცხოვრების ამაოება და არარაობა ახალგაზრდა პოეტს არ აღმოუჩენია. ამაზე სწერდნენ და სწერენ მსოფლიო ჰენიოსები.

* * *

„ზაკავ.“-ს ერთი თანამშრომელი ჰყავს, ბ-ნი აბისელი. არის ხოლმე ეს თანამშრომელი ორ-სამ კვირას თავისთვის ჩუმად, მერე აიღებს უცბად კალამს, აღმოაჩენს უსათუოდ თავისებურ ამერიკას, თანაც ერთი კარგად შეუკურთხებს მემარცხენეებს და [illegible]

ტიებს და კვლავ ჩვეულებრივ ძილს მიეცემა. სამი თუ ოთხი კვირის ძილის შემდეგ გუშინ „ზაკავ.“-ს ფურცლებზე კვლავ გაიღვიძა ბ-ნმა აბისელმა. იგი ეხება საადგილ-მამულო საკითხს. მამულებს ჩვენი გლეხები არ იძენენ და სხვებს უვარდება ხელშიო. ამისი მიზეზი, პროპაგანდის გარდა, ის არისო, რომ ქართველი გლეხი დიდ მიწიანობას, ფართო მეურნეობას არ არის შეჩვეული, ფსიხოლოგია აქვს ასეთიო. ამერიკაა, მა რა არის! არ შეიძლება ვკითხოთ ბრძენ აბისელს: როდისა ჰქონდა ჩვენ გლეხს ბევრი მიწა და, მაშასადამე, სად დაინახა, რომ იგი ფართო მეურნეობას ვერ შესჩვევია? ბატონ-ყმობამდე რაცა ჰქონდა გლეხს—ყველამ ვიცით და ბატონ-ყმობის შემდეგ რაც მიუზომეს,—ესეც ხომ ჩვენ თვალ წინ არის.

პირველ ამერიკის აღმოჩენას მეორე მოსდევს. რაკი ასეა საქმე, რაკი გლეხის ფსიხოლოგია ამ ნაირია, დიდი დანაშაულობა ჩაიდინესო იმ „მოღვაწეებმა“, რომელნიც „სცდილობდნენ დამხობას თავად-აზნაურობისას, როგორც სამეურნეო ერთეულისას, როგორც უფრო განათლებულ ელემენტისას, რომელიც ერობის ფუნქციებს ასრულებდაო“.

თურმე ნუ იტყვით, თავად-აზნაურობა ჩვენში, როგორც მემამულე, ერობის ფუნქციებს ასრულებდა! თავად-აზნაურობა ვიღაც მოღვაწეებს დაუმხიათ! ჩვენი თავად-აზნაურობა არავის არ დაუმხია, თითონ დაამხო თავისი თავი. გაიხსენოს ბ-ნმა აბისელმა მამულების დაგირავება, ბალები, ქეიფები და სხვა. ამიტომ სხვების დამნაშავედ გამოცხადება და პარტიების ლანძღვა-გინება უადგილო და მეტია.

## ჩანჩქერი

ცელქობს,
ნაზობს,
მოკისკასობს,
მოშხუის და მონავარდობს
მაგრამ ჩემს ჭირს
ის არა სტირს,—
არად აგდებს... არას დარდობს!..

* *
*

იკლაკნება... გზას იკაფავს...
ყვავილთ მდელოს-ფერად საბანს—
მარგალიტის ცვრებით ნამავს,
შესცინის და გულ-მკერდსა ჰბანს!

* *
*

ცელქობს,
ნაზობს,
მოკისკასობს,
მოჩუხჩუხებს, მონავარდობს;
ჩემს ცრემლს, წუხილს,
გრძნობათ დუღილს
არად აგდებს... არას დარდობს!..

ი. გრიშაშვილი.

## თურმე ვცდებოდი

ბედს გავშალე სიყვარულისა
და სოფელს თავსა გადავაფარე;
იქა სცხოვრობდა სატრფო გულისა,
ნათესავები, ძმა და მოყვარე.
მოვწიე ბედს და იმედ ცრუებმა
შიგ მტრების მეტი ვერავინ ვნახე!
თურმე ვსცდებოდი, როდესაც მწამდა
კაცთ სიყვარული და წმინდა სახე.

ი. მჭედლიშვილი.

## მჭედელი

სამჭედლოში, კვერის ტარზე
დაყრდნობილი, ნაღვლიანად,
ვდექ, ფიქრებს კაეშნიანს
წარვეტაცნე ერთიანად.

—

მოგუგუნე ქარის გმინვა
მომესმოდა მშობლიურ ნანად
და საბერვლის მძიმე ქშინვა
ექსოვოდა ხმა მწყობრ ზანად.

—

მეორე კი ცეცხლში რკინას
დასტრიალებს ფაცა-ფუცით,
და ნახშირი მოგუზგუზე
ნაპერწკლებს ჰყრის ტკაცა-ტკუცით.

—

ერთგვარია ჩვენი ხვედრი
და ერთფერი მჭედელთ სახე
ყველას ნათლად აღვბეჭდვია
ვარამი და სივაგლახე.

—

ჩვენში ბევრი დაუცია
ეკლიან გზას, უმართლობას;
მაგრამ, კვალად ზე აღმდგარან
და შებრძვიან მტარვალობას.

—

ამას ვთიქრობ... ასეთია,
გულის ლტოლვა, გულის ძგერა,
რომ ვერ დაგვძლევს გასაჭირი,
ვერც დუხჭირი ბედის წერა!

—

შრომაშია ჩვენი ძალა
ბრძოლის ცეცხლში ხსნა და შვება,
ორივ ერთად მომავალში,—
სიცოცხლე და სიტკბოება.

გოგია უიშვილი.

## დეპეშები

(პეტერ. ტელეგრ. სააგენტოსაგან)

25 ნოემბერი.

### საზღვარ-გარედ

**ათინა.** სამეტალურგიო მუშებმა პირეაში დიდი კრება გამართეს. კრებამ დაადგინა, სთხოვს მთავრობას, რომ საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ იარაღს დიდი ბაჟი დაედოს და დაუმუშავებელ საქონელზე ბაჟი მოსპოს. მუშებმა აირჩიეს დეპუტაცია, რომელიც ათინაში ჩამოვა და კრების გადაწყვეტილებას დეპუტატთა პალატას გადასცემს. ყველა ქარხნები დაკეტილია.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა განიხილა შეკითხვა კილის გემების ამშენებელ ქარხნის ადმინისტრაციის შესახებ. თავისუფალ მოაზრეებმა და სოციალ-დემოკრატებმა სასტიკად გაჰკიცხეს ქარხნის ადმინისტრაცია, რომელმაც მუშები დაითხოვა, მხოლოდ იმიტომ, რომ მუშებმა ადმინისტრაციის უჩივლეს. საზღვაო უწყების სტატს-სეკრეტარმა განაცხადა, ჩვენ არავის ნებას არ მივცემთ, რომ საზღვაო უწყების ქარხნებში სოციალისტური იდეები გაავრცელესო.

**გამბურგი.** დღისით ნავთსადგურში აფეთქდა ახლად გაკეთებული გაზომოტორი. ცეცხლი მოედო ძველ გაზომოტორსაც. ჯერ-ჯერობით იპოვეს 6 კაცის გვამი. დაშავდა 40 კაცი. საავადმყოფოში წაყვანის დროს რამდენიმე კაცი გარდაიცვალა.

**დურბანი** (სამხრეთი ამერიკა). თოფის წამლის საწყობში აფეთქება მოხდა. მოკვდა 5, მძიმედ დაშავდა 5 კაცი.

**ბერლინი.** პრინცმა გოგენ ლოჟემ ამომრჩევლებს წერილით მიმართა. პრინცი სწერს, რეიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტობა იმ პირობით ვიკისრე, რომ პრეზიდიუმში მდივნად პოლონელი დეპუტატი არ აირჩიონო.

### ჰაერში ფრენა.

**კანნი.** ფერნანდეცი დაიღუპა ანტიბის ახლო, ბრაგის მინდორში. ფერნანდეცი სამჯერ შეეცადა აფრენას და მხოლოდ მესამედ შესძლო 25 მეტრის სიმაღლეზე აფრენა. აეროპლანი უცბად გადატრიალდა და მიწაზე დაეცა. ფერნანდეცი მოტორმა გასჭყლიტა.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში სამხედრო მინისტრმა შეიტანა მოხსენება სამხედრო დირიჟაბლების შესახებ. სამხედრო მინისტრის სიტყვით, მომავალ წლის ბოლოში საფრანგეთს კარგად ბლომად სამხედრო დირიჟაბლები ექნება.

### რ უ ს ე თ ი

**ლიპოვეცი.** 21 ნოემბერს, საღამოთი, დაბა ჟორნიშჩეში სამი ბოროტ-გამზრახველი თავს დაესხა შეძლებულ ებრაელის ოჯახს. სახლში მცხოვრებლებმა ყვირილი ასტეხეს. ბოროტგამზრახველებმა მოჰკლეს სახლის პატრონი და მისი ცოლი და მიიმალნენ. ბოროტ-გამზრახველებს არაფერი წაუღიათ. ესევე ბოროტ-განმზრახველები 22 ნოემბერს თავს დაეცნენ ადგილობრივ კანტორას, შეჰკრეს კანტორის გამგე, მაგრამ ფულები ვერ იპოვეს და მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვების კომისიამ უარჰყო შეკითხვა ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ მუშათა პირველ მაისობის დღესასწაულის გამო.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, ავად არის 30 კაცი.

**მოსკოვი.** 24 ნოემბერს ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა. საავადმყოფოში 35 ხოლერიანი ავადმყოფია.

## ახალი ამბავი

**✦ რუსების დასახლება.** სოფელ გლდანში ბ-ნ აკიმოვს აქვს 500 დესეტინა სახნავი, სათიბელი და საძოვარი ადგილი. ეს აკიმოვი ჩამომავალია მარიამ დედოფლის (ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელ დედოფლის) იმ ექიმ თათულა აკიმოვისა (აღაშვილისა), რომელმაც ვერაზე გასვლისას დაჭრილ მარიამ დედოფალს (დედოფალი დასჭრეს გენერალ ლაზარევის მოკვლის დროს. იხ. „დროება“ № 249 ზ. ედილის ფელეტონი) ჭრილობა შეუხვია. აკიმოვებს ეს ადგილები ნაბოძები ჰქონიათ ქართველ მეფისაგან მე-18 საუკუნის ბოლო წლებში. ბ-ნ აკიმოვს გადუწყვეტნია, გლდანში ამ ადგილზე დაასახლოს რუსეთიდან გადმოსული გლეხები. 5—6 კომლი აკიმოვს უკვე დაუსახლებია და სხვებთანაც მოლაპარაკება აქვს თურმე.

**✦ სურათებიანი ხელთ-ნაწერი „ვეფხვის-ტყაოსანი“.** თავ. გიგო წერეთლის ოჯახს საჩხერეში ძველადგანვე ჰქონია სურათებიანი „ვეფხვის-ტყაოსანი“, მშვენიერი მხედრული ხელით გადაწერილი. „ვეფხვის-ტყაოსანს“, ჩართული აქვს სურათები პოემის გმირებისა. გმირები სპარსულ ტანისამოსში არიან გამოწყობილნი. ამ ერთი წლის წინად თავ. წერეთლის შვილს ფრიდონს ეს „ვეფხვის-ტყაოსანი“ ჩამოუტანია ტფილისში და კარგ ყდაში ჩაუსმევინებია. შინ დაბრუნებისას წიგნი დარჩენია ეტლში და დაკარგულა. ვიღაცას ეს წიგნი უპოვნია და ბოლოს იგი ბ-ნ დ. სარაჯიშვილს სამ თუმნად შეუძენია და წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის შეუწირნია. როგორც გვატყობინებენ, რაჭაში სევას მცხოვრებს თავ. გრიგოლ ერისთავსაც ჰქონია ძველის-ძველი ხელთ-ნაწერი „ვეფხვის-ტყაოსნისა“. განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაშიაც აღმოჩნდა ორი ძველი ეგზემპლიარი. ერთი დაბეჭდილია ვახტანგ მეფის მიერ დაარსებულ სტამბაში, ხოლო მეორე ხელთ-ნაწერია. ხელთ-ნაწერს სხვა ავტორთა ლექსებიც აქვს ბოლოში ჩამატებული. ძველი უნდა იყოს, მაგრამ ჯერ არ არის გამორკვეული რომელ საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი.

**✦ უძრავ ქონების დაფასება გორში.** გორის ქალაქის თვით-მმართველობას დაუდგენია, ხელ-ახლა შეაფასოს გორის უძრავი ქონება. ინსტრუქციის შესადგენად საბჭოს აურჩევია კომისია, რომელშიაც მოჰყოლიან ცერცვაძე, ლოლაძე, ნატროშვილი და გრიქუროვი.

**✦ სახალხო უნივერსიტეტი ქუთაისში.** ქუთაისში, თავ. ს. გ. წერეთლის, ი. გ. აბაშიძის, პ. ი. უფიანის და ი. ფ. ბაქრაძის ინიციატორობით არსდება სახალხო უნივერსიტეტი. უკვე ჩაწერილა ასი წევრი.

**✦ სოფელი საკვებს არა საჭიროებს.** ნამესტნიკის კანცელარიის შეკითხვაზე ბათომის ოლქის უფროს უპასუხნია, რომ წელს ბათუმის ოლქში კარგი მოსავალი იყო და ხალხი გამოსაკვებ თანხას არა საჭიროებსო.

**✦ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა თანამდებობანი.** „კავკაზი“ სწერს: ტფილისში ახალ განკარგულებამდე შეაჩერეს თხოვნების მიღება იმათგან, ვინც ფოსტალიონისა და ფოსტა-ტელეგრაფის მე-6 ხარისხის მოხელის თანამდებობასა თხოულობენო.

**✦ მკვლელობა.** გორიდან გვწერენ: სოფ. ხელთუბანში (გორის მაზრა) იაკოფ მერებაშვილთან დაპატიჟებულს სტუმრებს ქიტეს გიგოლაშვილს და დავით მერაბაშვილს ჩხუბი მოსვლიათ. მერებაშვილს ხანჯალი ამოუძვრია გიგოლაშვილისთვის და იმისთვისავე დაურტყამს მუცელში. გიგოლაშვილი იქვე გარდაიცვალა, ხოლო მერაბაშვილი შეიპყრეს.

**✦ სტრაჟნიკის დაჭრა.** გორიდან გვწერენ: 23 ნოემბერს ქ. გორში სტრაჟნიკი ნიკ. ბეზპალკოვი სანდრო ჯოჯიშვილის დუქანში შესულა მას მიჰპარვია ანდრია კობისაშვილი და მუცელში სასიკვდილოდ დაუჭრია. კობისაშვილი შეიპყრეს.

**✦ პატრონები.** ტფ. პოლიციის ცნობები მიუღია, რომ სასტუმრო „დაღესტან“-ში იარაღი ინახებაო. 24 ნოემბერს ღამე ალყა შემოურტყავთ სასტუმროსათვის და შესდგომიან ჩხრეკას. სამზარეულოში უნახავთ ჟილეტი, რომლის ჯიბეებში ყოფილა 343 პატრონა სამხაზიან თოფისა. პატრონი აღმოჩნდა სასტუმროში მცხოვრები შუშის მაზრელი ალიმ ზეინალ-ოღლი. გამოკითხვის დროს ზეინალ-ოღლმა განაცხადა, ეს პატრონები შევიძინე 23 ნოემბერს ორბელიანის ქუჩაზე ვიღაც სომხისაგან, რომლის ვინაობა და ბინა არ ვიციო. ზეინალ-ოღლი დააპატიმრეს.

**✦ ახალი დანაწილება საპოლიციო უბნებისა.** საგუბერნიო ადმინისტრაციის განკარგულებით, ტფილისში დაარსებულ იქმნა მე-12 საპოლიციო ნაწილი. გადაწყვეტილია ტფილისის ეხლანდელი დანაწილება საპოლიციო უბნებად შესცვალონ.

**✦ ლექციები მეფუტკრეობაზე.** როგორც აღვნიშნეთ, სამეურნეო საზოგადოების სადგომში 20 ნოემბრიდან მეფუტკრეობის გამოფენაა, გამოფენასთან ერთად 25 ნოემბრიდან საღამოობით სპეციალისტები ლექციებს კითხულობენ მეფუტკრეობის შესახებ. სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, დღეს საღამოთი ლექციას წაიკითხავს მღ. ალ. ჯალიაშვილი.

**✦ საქართველოს საეგზარხოსოს ბედი.** სინოდის საზამთრო სესსია უკვე დაიწყო. „რეჩი“-ს სიტყვით, სინოდის პირველსავე სხდომაზე უნდა განეხილათ საქართველოს საეგზარხოსოს საკითხი, მაგრამ რადგან სინოდის ყველა წევრები არ დასწრებიან ამ კრებას, ამიტომ ამ საკითხის განხილვა მეორე კრებისთვის გადაუდვიათ.

**✦** 21—24 ნოემბერს ტფილისში მოხდა შემდეგი ამბები: 21 ნოემბერს სამეურნეო საზოგადოების დარბაზიდან ნათიც-ვექილის სტენდიაროვისათვის მოუპარავთ 45 მან. პალტო. 24 ნოემბერს დოჩის-მედიქოვის ქუჩაზე შადინოვის ეველის მაღაზიიდან ქურდებს გაუტანიათ $7^1/_2$ ფუთი კარაქი, 180 მან. ღირებული. ეჭვით დააპატიმრეს ბართლომე ჯოხაძე. 24 ნოემბერს მეეტლეს ზაქარია შინდელაშვილს კახეთის მოედანზე მიჰპარვია ქურდი, რომელსაც ქურქი მოუტაცნია და გაქცეულა. შინდელაშვილს ქურდი დაუჭერია და საშველად დაუძახნია. ქურდი გავარდნია ხელიდან და გაქცეულა. გამოსდევნებია უბნის ზედამხედველი და ხმლით თავში დაუჭრია. დაჭრილი საავადმყოფოში ჭრილობის შეხვევის შემდეგ ისევ პოლიციაში წაიყვანეს. ქურდი აღმოჩნდა სარქის არუთინოვი, მეწადე.

## მეურნეთა კრება

კავკასიის მეურნეთა კრება დასრულდა სამშაბათს, 23 ნოემბერს. კრებას თავმჯდომარეობდა უგ. თავ. პ. ა. გრუზინსკი. პირველად კრებას წარედგინა განსახილველ-დასამტკიცებლად სამეურნეო განათლებისა და საცდელ მინდვრების სექციის მიერ მიღებული რეზოლიუციები. სექციას საჭიროდ უცვნია დაარსდეს კავკასიაში რაიონული სადგურები: ცენტრალური—ტფილისში, შავიზღვის პირის ადგილებისთვის—სოხუმში და ჩრდილოეთ-კავკასიისთვის—სტავროპოლში. საუკეთესოდ უნდა იქმნენ მოწყობილნი ტფილისისა და სტავროპოლის ცენტრალური სადგომები. ყველა ის დაწესებულებანი, რომელიც მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეს ემსახურებიან, უნდა შეერთდნენ ტფ. სააბრეშუმო სადგურის ხელმძღვანელობის ქვეშ. სასურველია, გაიხსნას განყოფილებანი იმ რაიონებში, სადაც პირობები ხელს უწყობენ მეაბრეშუმეობის განვითარებას. სექციას საჭიროდ უცვნია აგრეთვე, რაც შეიძლება, მალე დაარსდეს მევინე-მევენახეობის სადგურები კახეთში, იმერეთში და განჯა-ერევნის გუბერნიებში. სადგურებთან უნდა მოეწყოს სამაგალითო სარდაფები და ლაბორატორიები. არსებულ საცდელ დაწესებულებებს მეტი ნივთიერი დახმარება უნდა გ უწიოთ და დაარსდეს კიდევ საცდელი დაწესებულებანი მუღანსა და ბათუმში. სექციას სურვილი გამოუთქვამს აგრეთვე, დაარსდეს კავკავსა და თუაპსეში სადგურები, საქარის ამერიკული ვაზის სანერგე გადაკეთდეს მევინეობისა და მევენახეობის სადგურად და სხვა.

კრებამ უცვლელად მიიღო როგორც ეს რეზოლიუციები, ისე კოოპერაციის სექციის დადგენილებანი. კოოპერაციის სექციას 6 მოხსენება განუხილავს და 15-მდე რეზოლიუცია მიუღია. რადგან ამ ჟამად გართულებულია ამხანაგობათა დაარსების საქმე, სექციას დაუდგენია აღიძრას შუამდგომლობა, რომ საგუბერნიო სამმართველოსთან დაარსდეს ისეთი ორგანო, რომელსაც დამოუკიდებლად შეეძლოს ამხანაგობათა დასაარსებლად ნებართვის მიცემა. სახელმწიფო ბანკის „სოფხოტო“ კომიტეტში მიწვეულნი არიან ვაჭრები, რომელთაც ნაკლები ცოდნა აქვთ სოფლის შესახებ და ამიტომ სექციას დაუდგენია იშუამდგომლოს, რომ ამ კომიტეტში მცოდნე პირნი იქმნენ მიწვეულნი კრედიტის გაცემის საქმის გასაადვილებლად; შემცირდეს სარგებელი გასესხებულ ფულზე; წვრილ კრედიტის ამხანაგობას მეტი ფული უნდა მიეცეთ; წვრილ საკრედიტო დაწესებულებებს ფული უნდა ეძლეოდეთ ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის სამეურნეო თანხიდან და სოფლის გამოსაკვებ თანხებიდან. სამასწავლებლო სემინარიებთან უნდა დაარსდეს წვრილი კრედიტისა და კოოპერაციის საქმის შესასწავლი კურსები; კოოპერატიული ამხანაგობანი უნდა შეერთდნენ კავშირად. მევინეობისა და მევენახეობის ამხანაგობათა სახელმძღვანელოდ თავ. ს. რ. ვახვახიშვილის მიერ შედგენილი პროექტი წესდებისა წარედგინოს სამეურნეო საზოგადოებას და ეთხოვოს მისი გადათვალიერება და შუამდგომლობის აღძვრა პროექტის ნორმალურ წესდებად დასამტკიცებლად; დაარსდეს სამეურნეო საზოგადოებასთან მუდმივი კომიტეტი, რომელიც იზრუნებს კოოპერაციის საქმეთა განვითარებაზე; აღიძრეს შუამდგომლობა, რომ საჩქაროს კოოპერაციის კანონ-დებულების პროექტი დამტკიცება და სხვ. დასასრულ, სექციას უცვნია, რომ საკრედიტო და სხვა ამხანაგობათა საქმე მანამდე ვერ დადგება მტკიცე საფუძველზე, ვიდრე არ იქნება შემოღებული ჩვენში საერობო დაწესებულებანი.

რეზოლიუციების დამტკიცების შემდეგ მოხსენება წარუდგინა კრებას სამეურნეო საზოგადოების წევრმა ა. ქალანთარმა. მან განაცხადა: რადგან კოოპერაციების სექციის სხდომაზე ვერ მოვასწარ ჩემი მოხსენების წარდგენა, მინდა საზოგადო კრებას მოვახსენო იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერატიულ — ამხანაგურ ნიადაგზე მეყველეობისა, მეკარაქეობისა და მერძეობის წარმოების მოწყობას. მაგალითად მომხსენებელმა მოიყვანა ბორჩალოს მაზრაში გერმანელთა კოლონია ალექსანდერსგიფი, სადაც დიდი ხანია შეუდგნენ ყველის კეთებას ამხანაგურ ნიადაგზე. ეხლა სოფელს დიდი სარგებლობა აქვს, რადგან ბაზარზე დიდს ნაწარმოებს ასაღებსო, და მაშინ, როდესაც მეზობელი სოფლები ყოველ მხრივ დაქვეითებულნი და დაღარიბებულნი არიან. ამ კოლონიაში სიცოცხლე სდუღსო. მაგალითები მომხსენებელმა მოიყვანა ევროპის ცხოვრებიდანაც. შემდეგ ქალანთარი შეეხო ერევნის გუბერნიასა, ყარსისა და ბათუმის ოლქებში ერთგვარს რიგს წარმოებისას სოფლებში, სადაც შინაურ საქონლის მოშენებას მისდევენ, ყოველ წელს ჯგუფებად იყოფებიან და რიგ-თო დღის [illegible] რიგობით [illegible] ფლები [illegible] ნავს ჰურჭელს, ხოლო ხაზი ქართულად ხაზს. რძის რაოდენობას არკვევენ იმით, რომ ჯოხს ჰურჭელში ჩაჰყოფენ და ზედ ხაზს ავლებენ დასახსომებლად, თუ ვის რამდენი რძე მოუტანია და ამას ეძახიან ხაზა ხაზს. მომხსენებლის სიტყვით, სოფლებს ძალიან აქვთ ეს წესი შეთვისებული. მომხსენებელმა წინადადება შეიტანა, კოოპერაციის ინიციატორებმა ისარგებლონ ხაზა ხაზის წესით და წარმოების საუკეთესო ფორმაზე გადავიდნენ.

ძალიან საინტერესო მოხსენება წაიკითხა კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ (ევროპაში) ბ-ნმა ტუტომიანცმა. მომხსენებელმა სთქვა, რომ მოვასწარი კოოპერაციის სექციისათვის მოხსენების წარდგენა და ამიტომ მეურნეთა საზოგადო კრებას მინდა მოვახსენო, როგორ განვითარდა ევროპაში და როგორ წინ მიდის კოოპერატიული წარმოება მეურნეობაშიო. გერმანიაში გაძლიერდა საკრედიტო ამხანაგობანი. ამ ჟამად 15,000 საკრედიტო ამხანაგობაა იქ და შეიცავს 2,000,000 წევრს განურჩევლად კლასისა, რწმენისა და წოდებისა. ამხანაგობები თითქმის 7 მილიარდ მანეთს ატრიალებენ, იაფ კრედიტის გაცემით სოფლებმა ბევრგან გაუსწრეს დიდს ქალაქებსაც. ასეთმა ფორმამ კოოპერაციისამ სრულიად მოსპო სოფლად ჩარჩები, რომელნიც რუსეთში და კავკასიაში ეხლაც ბატონები არიან. ამხანაგობებში წევრებს სიფრთხილით ღებულობენ. ლოთ კაცს, ქურდს და გარყვნილს არასფრის გულისათვის კოოპერაციაში არ უშვებენ, ასეთი კაცი მოკლებულია იაფკრედიტს, იაფ სანოვაგეს. ასეთმა პრინციპმა ძალიან გასწმინდა საზოგადოებრივი ატმოსფერა. საკრედიტო ამხანაგობათა გარდა გერმანიაში გავრცელებულია მყიდველ-გამყიდველთა ანუ მომხმარებელთა ამხანაგობანი. ასეთი ამხანაგობანი იშვიათად გაკოტრდებიან, რადგან წევრნი, როგორც საკუთარ შვილებისათვის, ისე ზრუნავენ ამხანაგობებისთვის. კრედიტიც დიდი აქვთ, რადგან წევრნი მთელის თავიანთ ქონებით აგებენ პასუხს. ასეთი ამხანაგობანი შეიძლება მოეწყოს საქართველოში და საზოგადოდ კავკასიაში, თუ ინტელიგენცია კაბინეტებს თავს დაანებებს და ხალხში გავა. მაგ. კავკასიაში ღვინის დაყენება, გასაღება, ხილის მოშენება, მეცხვარეობა, მემატყლეობა, მეყველეობა, მეაბრეშუმეობა, ყველა ამაში კოოპერატიული პრინციპი რომ შემოიღონ, ეს ქვეყანა აშენდება. ბევრი ხილი და კონსერვი მიდის პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში, მაგრამ ეხლა ისეთი გასავალი არა აქვს, როგორიც მოსალოდნელია სხვა პირობებში. მიზეზი ის არის, რომ ნაწარმოებს ჩარჩი ასაღებს. ხუთ ხელში გავლილ ნაწარმოებს, რა თქმა უნდა, ფასი ემატება.

გარდა ამ სახის კოოპერაციებისა, ევროპაში ახალი ამხანაგობანი დაარსდა. ინგლისი, ეს უმდიდრესი და უძლიერესი მრეწველი სახელმწიფო, ძლიერ დააფიქრა იმ გარემოებამ, რომ ხალხი ქალაქებს ეტანება და მიწის მუშაობაზე ხელს იღებს. ჩაუკვირდნენ ამ მოვლენას და იმ აზრს დაადგნენ, რომ მომავალში ქვეყნისათვის დამღუპველი იქნება ასეთი მოვლენაო. ვთქვათ ომი მოხდა. ინგლისს საჭმელი თავისი პური არ აქვს და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვს. ომის დროს ალყა-შემორტყმულ ქვეყანა მშიერი მოკვდება. გარდა ამისა, გლეხობის ქალაქებში ლტოლვამ ძლიერ დასცა ხელ-ფასი. რომ ყოველსავე ამას ბოლო მოეღოს, შესდგნენ ამხანაგობანი, რომელთაც მიზნად დაისახეს წვრილ მიწის მუშაგლეხების დასახლება. ამხანაგობები, დიდს კაპიტალს უყრიან თავს, იძენენ დიდ მემამულეებისაგან ავგი-

ლებსა, ჰგეგმავენ და წვრილ მესაკუთრე გლეხთა კოლონიებს აარსებენ. მთავრობამაც მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება. იგი ფართო დახმარებას უწევს ამხანაგობებს—აძლევს ფულს და სხვა. ასევე ხდება გერმანიაში.

კოოპერაციამ ბუნებით ღარიბი დანია ისე ააყვავა და გააძლიერა, რომ მან თავის წარმოებით თითქმის ყველა სახელმწიფოს გაუსწრო და ბაზარზე დანიის სანოვაგეს დიდი მოთხოვნილება აქვს. დანიაში კოოპერაცია ისეა გაძლიერებული, რომ 80% ყველისა და კარაქის ნაწარმოებისა ამხანაგობებისაგან არის დამზადებული. კოოპერაცია ასევე გაძლიერდა საფრანგეთსა, იტალიასა, ბელგიასა და სხვა სახელმწიფოებში.

ბ-ნმა ტოტომიანცმა, რამდენადაც დრო და გარემოება ხელს უწყობდა, გადაუშალა კრებას დიდებული სურათი კოოპერატიულ მოძრაობისა ევროპაში და გამოსთქვა ის აზრი, რომ რუსეთისა და კერძოდ კავკასიის ინტელიგენციაც უნდა შეუდგეს ამ წმინდა საქმესაო. დღემდე ინტელიგენცია ზერელად უყურებს სოფელს და სოფლის მეურნეობას. ამ ინტელიგენციას ურჩევნია კანცელარიებში 30 მანეთიდან სამსახურის ძებნას სოფელში გავიდეს და ხელი გაანძრიოს. იტალიაში ეგრედ წოდებული საპატიო მინისტრი ლუცატიც არ ერიდება პროპაგანდას კოოპერაციის საქმისას. მას ეს უწმინდეს საქმედ მიაჩნია და სოფლიდან სოფელში გადადის და აარსებს ამხანაგობებსა. იტალიაში 140 კათედრაა მოწყობილი მოგზაურ აგრონომებისათვის. ცოდნა და წიგნი ევროპის გლეხს სახლში მიუდის და ისიც იძენს ცოდნას და ვითარდება მეურნეობაში. რუსეთში კოოპერაციის ხელის შემშლელია უმთავრესად მთავრობის წრეებში გავრცელებული შემცდარი აზრი, ვითომ პროპაგანდა საკოოპერაციო საქმეში და თვით ამხანაგობანი საშიშ ელემენტებს წარმოადგენდნენ პოლიტიკურად. პირიქით, მთავრობა უნდა ახალისებდეს ინტელიგენციას, აძლევდეს ფულს, რომ კოოპერაციამ ხალხის მდგომარეობა გააუმჯობესოს და აღორძინოს ნივთიერადა და სხვა მხრივაც. ბედნიერებას ხალხი სწორედ მიწის დამუშავებისა და მეურნეობის სხვა დარგების კოოპერატიულად წარმოებაში ნახავს.

ლექტორი კრებამ ძლიერი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

დასასრულ, თავმჯდომარემ თავ. გრუზინსკიმ მადლობა გადაუხადა კრების წევრთ და სექციებში მომუშავეებს და კრება ღამის $11^1/_2$ საათზე დაიხურა.

## თეატრი და ხელოვნება

**ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი.** გორის ქართველმა საზოგადოებამ ამ გიორგობისთვის 14 კრებაზე დაადგინა— მიიღოს მხურვალე მონაწილეობა არტისტ ქალის ნატალია გაბუნია-ცაგარლის ოცდა ათი წლის საზოგადო მოღვაწეობის დღესასწაულში. 1. ოცდა ცხრა გიორგობისთვეს უნდა გამოიგზავნოს ტფილისში ორი წარმომადგენელი გორელ ქართველ საზოგადოებისა; 2. ამ წარმომადგენლებმა იუბილიარს უნდა მიულოცონ დღესასწაული, წაუკითხონ ადრესი და მიართვან სამახსოვრო საჩუქარი; 3. ამათვე უნდა სთხოვონ მსახიობს, მობრძანდეს 12 ქრისტეშობ. თავის სამშობლო ქალაქ გორში, სადაც იმის მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა, რომლის სრული შემოსავალი მასვე გადაეცემა და 4. წარმოდგენის ღამეს ნატალია მერაბის ასულის პატივსაცემლად უნდა გაიმართოს საზოგადო ვახშამი.

**ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში, შილლერის დაბადებიდან 150 წლის შესრულების აღსანიშნავად გაიმართება საღამო. წარმოადგენენ ჩვენ საზოგადოებაში კარგად ცნობილ პიესას: „ყაჩაღებს“. წარმოდგენის წინ ბ-ნი ივ. გომართელი წაიკითხავს რეფერატს დიდებულ მწერალზე.

**ქუთაისი.** შაბათს, 21 ნოემბერს, დრამატიული საზოგადოების დასმა წარმოადგინა ფულდის 5 მოქმედებიანი კომედია-სატირა „სულელი“, თარგმანი ვ. გუნიასი. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. თეატრი სავსე იყო საზოგადოებით. ადგილების ფასები დაკლებული იყო.

კვირას, 22 ნოემბერს, ხელმეორედ წარმოდგენილ იქმნა ა. სუმბათაშვილის „ღალატი“. ეს წარმოდგენა მით იყო საყურადღებო, რომ მსახიობთა შორის როლები წინანდებურად არ იყო განაწილებული: სოლეიმან-ხანის როლს ასრულებდა ვ. გუნია, რომელიც უკანასკნელ ხანს ამ როლში არ გამოსულიყო: პირველ მოქმედებაში ის მოგაგონებდათ დიდებულსა, მრისხანე სოლეიმანს კი არა, რომლისათვისაც სიკვდილსაც კი ვერ გაესწორებინა თვალი, არამედ ცოლის მიერ დამორჩილებულს, დამონებულ უბრალო მომაკვდავ ქმარს, მეფეს იმ დროს, როდესაც დედოფალი ზეინაბი ოთარბეკს ურისხდება, სოლეიმანი ისე იჯდა ტახტზე და კრიალოსანს ათამაშებდა, თითქოს არც კი ესმოდა, ვერც კი ჰხედავდა, რაც იმის წინ ხდებოდა, თითქოს სამეფოს მართვა-გამგეობაში იგი არავითარს მონაწილეობას არ იღებდა. კარგი იყო გუნია მხოლოდ მეხუთე მოქმედებაში, მაგრამ იქაც უცაბედათ ზეინაბს თავიდან სახურავი მოეგლიჯა და დედოფალი თავშიშველი დარჩა, რამაც ძლიერ შეასუსტა შთაბეჭდილება. შთაბეჭდილების შესუსტებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ისახარს ზეინაბი უწოდა.

თავ თავის ადგილზედ არ იყვნენ დავითაშვილის ასული—ზეინაბი და ნხეიძის ასული—გაიანე. პირველს აკლდა გრძნობა და სიდიადე; მეორეს კი სიცოცხლე და გულუბრყვილობა. მკრთალი იყო დავითაშვილის ასული მესამე მოქმედებაში. ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე მისმა მოთხრობამ იმის შესახებ, თუ როგორ გასრისა სოლეიმანის ცხენმა ანანიას შვილი.

ა. ყაღაბეგაშვილი სხვა დროს კარგი ოთარბეგი იქნებოდა, მაგრამ ამ როლში, ვ. გუნიას თამაშის შემდეგ, იგი სუსტად გვეჩვენებოდა. ვ. ბალანჩივაძისთვის ტყუილად მიეცად ანანიას როლი, რომელიც მან სრულიად არ იცოდა და სუფლიორს მისჩერებოდა პირში. არც კორიშელი ვარგოდა ბესოს როლში. კარგი ერეკლე იყო დ. ჩარკვიანი. მოხდენილად თამაშობდა რუქაიას როლს ანდრონიკაშვილის ასული, თუმცა პირველს წარმოდგენაზე უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა ამ როლში, ვიდრე ახლა. არა უშავდათ ივანიძის ასულს—ისახარს და დადიანს —საბა ბერს.

წარმოდგენის გარეგან მხარესაც არა ჰქონდა ის დიდებული სანახაობა, როგორიც პირველს წარმოდგენაზე. მეტეხის ციხე სასაცილოდ აავეთქეს: ჯერ ციხე დაინგრა და მერე წამლის საწყობი რამდენისამე ხნის შემდეგ ავეთქდა, სადაც განზე, თითქოს ციხესა და წამლის საწყობს ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა ჰქონოდეთ. გულგანგმირული ერეკლე თავ-უკუღმა დაეცა ტახტზე, ასე რომ მუთაქა და ბალიშები ფეხ-ქვეშ მოხვდა, თავ-ქვეშ-კი არაფერი ედო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კულისებიდან მოსჩანდნენ მსახიობები და მოსამსახურეები, რაც ისედაც სუსტ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ასუსტებდა.

წარმოდგენას დიდი საზოგადოება დაესწრო მიუხედავათ იმისა, რომ ამ ღამეს საზოგადო საკრებულოში საცეკვაო-დრამატიული საღამო იყო დანიშნული ბავშვთათვის მზრუნველი საზოგადოების სასარგებლოდ.

28 და 29 ნოემბერს, ზედიზედ დაიდგმება ვას. ყიფიანის ისტორიული პიესა „სამეგრელოს მთავარი დადიანი“. ამ წარმოდგენისათვის დასი დიდს მზადებაშია. მართლა ტანისამოსები და დეკორაციები უჯდება დრამატიულ საზოგადოებას 500 მანეთად. პირველ წარმოდგენის ბილეთები ძლიერ ცოტაა დარჩენილი. როგორც გავიგეთ, ხარჯის დასაფარავად, გამგეობას განუზრახავს საბენეფისო ფასები დანიშნოს ბილეთებზე.

## სასამართლო

**მუქარის წერილები პარტიის სახელით.** 1909 წელს ივნისის პირველ რიცხვებში ტფ. ვაჭარს ანდრია კრეტინინს ფოსტით მიუღია წერილი, რომლითაც ვითომდა ტერორისტ-რევოლიუციონური პარტია „ჩორნი ვორონი“ მუქარით სთხოვდა 500 მანეთს პარტიის სასარგებლოდ. სამი დღის ვადას უდებდნენ. მეორედ კიდევ მიუღია წერილი. ატყობინებდნენ, თუ არ გადაიხდი, სულ ამოგწყვეტთო. ივლისის პირველ რიცხვებში მესამე წერილი მიუღია ფოსტით. მოეთხოვათ 10,000 მანეთი. ტექსტის ბოლოს ყოფილა ბეჭედი წარწერით: „ადგილობრივი კომიტეტი სოციალისტ-რევოლიუციონერების მაქსიმალისტთა პარტიისა“. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ გაუმეორებიათ მოთხოვნა, მაგრამ კრეტინინს ყურადღება არ მიუქცევია. კრეტინინს ეჭვი მიუტანია ზეინკალ ვასილ ბოროდინოზე შემდეგის მოსაზრებით: ერთხელ, როდესაც ღამე კრეტინინი სახლში მიდენილა, თავის სახლის წინ შეუმჩნევია მიმავალი მეზობელი ბოროდინი და ამის შემდეგ ეჭვი დაჰბადებია. ეს ეჭვი „ოხრანნი ოტდელენია“-ში გამოუცხადებია. 13 ივლისს მერვე ნაწილში ბოქაულის თანაშემწეს გაუჩხრეკია ბოროდინის სახლი, მაგრამ საეჭვო ვერაფერი უპოვნია. ბოროდინის სძინებია მეზობლის სახლის სახურავზე. გაუჩხრეკიათ ეს ადგილიც და კრამიტის ქვეშ უპოვნიათ ექვსი ფურცელი დაუწერავი ქაღალდი „სოციალისტ-რევოლიუციონერების მაქსიმალისტთა პარტიის“ ბეჭედ-დაკრული. ამის გამო ბოროდინი პასუხის-გებაში მიუციათ.

ეს საქმე ტფ. ოლქის სასამართლომ 25 ნოემბერს განიხილა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ტურკევიჩი.

მოწმების ჩვენებამ ვერ დაამოწმა ეს ბრალდება, სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო ბოროდინი და გაამართლა.

**ცრუ ბოქაული.**

ამავე დღეს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ვასილ ემელინისა.

1909 წელს მაისის რიცხვებში ემელინს შეუძენია ბოქაულის თანაშემწის ფორმის ტანისამოსი და დაუწყია მეათე უბანში განკარგულებების ძლევა. ერთხელ, როდესაც მეზოვეებს დაუპატიმრებიათ მთვრალი მოჩხუბარი კაცი, „ცრუ პოლიციელს“, რომელიც იქ შესწრებია, გაუნთავისუფლებია იგი. მეორე დღესაც ყოფილა ასეთი შემთხვევა. ერთხელ „პოსტზე“ მდგომი პოლიციელი წაუყვანია ვიღაცის სახლის გასაჩხრეკად, ერთ სახლის კერებთან მისულა, მაგრამ პოლიციელისთვის უთქვამს სახლში არა ყოფილან და შემდეგისათვის დარჩესო. უბნის ზედამხედველისთვისაც მიეცა საყვედური, კარგად ვერ ასრულებთ მოვალეობასაო. როგორც ყველაფერს, ამ „ცრუ პოლიციელის“ მოქმედებასაც მისცემია დასასრული ბოქაულს უცვნია და პოლიციაში მიუწვევია, სადაც იარაღი აუყრია და პასუხის გებაში მიუცია.

სასამართლოში ემელინმა თავი დამნაშავედ არ იცნო და განაცხადა, ტანისამოსი შევიძინე იმიტომ, რომ პოლიციის სამსახურში ვაპირებდი შესვლას და დედმამაც ძალას მატანდა. იმათ მოსატყუებლად, რომ სამსახურში ვიმყოფებოდი, ტანისამოსი შევიძინე და რაც შეეხება განკარგულებების მიცემას, სულ სიცრუეაო.

მოწმებმა დაამოწმეს ემელინის ბრალდება. ემელინს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე მანდენოვი.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ვასილ ემელინი (20 წლისაა) და ორი თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

## უცხოეთი

**სამხედრო კავშირი საბერძნეთში.**

საბერძნეთის სატახტო ქალაქიდან ატყობინებენ რუსეთის გაზეთებს, სამხედრო კავშირის ცენტრალური კომიტეტი ახლდება. პოლკოვნიკი ზორბასი კავშირი ხელმძღვანელად კვლავ დარჩება. ახალი წევრებიც შევლენ კომიტეტში.

გამოძიება ტიპალდოსის საქმის გამო დამთავრდა. საგამომძიებლო მთავრობამ 21 საზღვაო აფიცერი მისცა ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს. ამათ ბრალდებათ შეიარაღებულ აჯანყების მოხდენა.

**ნადიბ-ალას დასჯა.**

სატახტო ქალაქის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ თეირანიდან, 19 ნოემბერს საჯაროდ დასაჯეს რეაქციონერთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ნადიბ-ალა.

**პუანკარეს სიტყვა.**

საფრანგეთის ზომიერი რესპუბლიკანელები მარცხნივ მიიწევენ. ვოლტერის კლუბში სენატორმა პუანკარემ, მინისტრად ნამყოფმა, სიტყვა წარმოსთქვა და დაიცვა საერო სკოლა. პუანკარემა სთქვა, უნდა ყველა ღონე ვიღონოთ, განვამტკიცოთ საერო სკოლა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუპოვოთ, რადგან ეს სკოლა რესპუბლიკის ქვაკუთხედი არ სთ. სამღვდელოების იერიში უნდა მოვიგერიოთ სკოლასაო.

**ავსტრიის პარლამენტი.**

ყველამ იცის, რა ობსტრუქციები ხდებოდა ხოლმე ვენის პარლამენტში. რადგანაც ეროვნული საკითხი მეტად გამწვავებულია, სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელი პარლამენტში წესიერად რამ ვერას ხდებოდა, ყვირილსა და სტვენას მოჰკიდებდა ხოლმე ხელს და ამით საკანონმდებლო მუშაობას ხელს უშლიდა. ეხლა, როგორც დეპეშებიდანაც ვიცით, მცირე შეთანხმება მოხდა: ობსტრუქციები შეწყდა, მაგრამ საქმე მეტად გამოურკვეველია, გერმანელები კიდევ ეჭვის თვალით უყურებენ სლავიანებს. ბიუჯეტის განხილვის დროს ფიქრობენ, გამოირკვევა, რომ უმრავლესობა მთავრობის მხარეზე არ არის, ესლანდელი სამინისტროს გადადგომა აუცილებელი იქნება. ჯერ მაინც არ არის გამორკვეული. ვინ შევა ახალ კაბინეტში.

**ნიკარაგუას რესპუბლიკა ამერიკაში**

უცხოეთის გაზეთების სიტყვით, შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა ნოქსმა წინადადება მისცა ნიკარგუას რესპუბლიკის ელჩს გასულიყო შეერთებულ შტატებიდან. ნიკარგუაში ძლიერი რაზმი იგზავნება, აგრეთვე რამდენიმე კრეისერი და საკანონიერო გემები. მიზეზი ყველა ამისა ის არის, რომ ნიკარგუაში დასაჯეს ორი ამერიკელი, რომელთა დანაშაული ის იყო, რომ რევოლუციონურ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს.

**კრიზისი ინგლისში.**

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ლორდთა პალატამ არ მიიღო ქვედა პალატის მიერ მიღებული საფინანსო კანონპროექტი. ეხლა, როგორც უცხოეთის გაზეთები გადმოგვცემენ, მთავრობა იმ აზრისაა, რომ ზარალის დასაფარავად და საფინანსო დაბრკოლებათა თავის დასაღწევად უნდა ქვედა პალატის მიერ მიღებული კანონი ცხოვრებაში უნდა იქმნას გატარებული. ზოგიერთ გადასახადების გადიდება ეხლა უნდა მოხდეს. თუ ეს გადაწყვეტილება უკმაყოფილებას გამოიწვევს, თუ იტყვიან, რომ კანონი ზემო პალატის მიერ მიღებული არ არის და გადასახადის მომატება საბოლოოდ დაკანონებული არ არისო, შეიძლება ამ უკმაყოფილოთა დაკმაყოფილება იმით, რომ შემდეგ სასამართლოთი მოითხოვონ ზედმეტი გადასახადის ანაზღაურება. მაშასადამე მთავრობის თავდაპირველი ზრუნვა გამოიხატება იმაში, რომ ახალი კანონპროექტები ცხოვრებაში გაატარონ და არ მოუცადონ მათ საბოლოოდ დაკანონებას. მუშათა პარტიის სოციალისტურ ორგანიზაციებს გადაუწყვეტიათ აგიტაცია გასწიონ ლორდთა პალატის გაუქმების სასარგებლოდ და არა მარტო რეფორმების მოხდენის სასარგებლოდ, როგორც ეს ლიბერალურ პარტიას გადაუწყვეტია.

## რუსეთი

**ვარშავის უნივერსიტეტი და პრესსა.** „რეჩი“-ს სიტყვით, ვარშავის უნივერსიტეტის რექტორს ვარშავის გენერალ გუბერნატორისთვის მიუმართავს, ადგილობრივი გაზეთები უნივერსიტეტსა და პროფესორებზე ყალბ ცნობებს ბეჭდავენ. რექტორი გენერალ-გუბერნატორს სთხოვს ზომები მიიღეთ პრესსის წინააღმდეგ, თორემ სტუდენტებზედ ეს ყალბი ცნობები გავლენას ახდენენ და შესაძლებელია არეულობა მოახდინონო. გენერალ-გუბერნატორსაც ზომები მიუღია, გამოუცია სავალდებულო დადგენილება, უნივერსიტეტზედ ცნობების დაბეჭდვა (რა თქმა უნდა „ყალბი“ ცნობების) აღკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში 500 მანეთით დავაჯარიმებ გაზეთებსაო. როგორც სჩანს უნივერსიტეტის შესახებ გაზეთში მოთავსებულ პატარა ცნობას მეტი გავლენა ჰქონია სტუდენტებზედ, სანამ უნივერსიტეტის რექტორს და პროფესორებს.

**ებრაელების შევიწროება.** ამ ბოლო დრომდის კიევის საკომერციო სასწავლებელში ებრაელებს ას კაცზე 50 იღებდნენ. ეხლა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს ბრძანება გაუცია, ებრაელები ამ სასწავლებელში ას კაცზე 10 მიიღეთო.


## განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღოხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—11)

კიეველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნაკაშიძისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნაკაშიძისა:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ყურის, ცხვირისა და ყელის.

**მ. გ. ...:** 11—13 კანისა, სიფილისის ...

**ა. ნ. ...:** ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. ...:** 1—$1^1/_2$ ... გან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^1/_4$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინკევიჩი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნაკაშიძისა. (წ.—1—224)

**გამოვიდა გასასყიდად**

გრიგოლ ჩარკვიანის მიერ შედგენილი და „სორაპნის“ ამხ. გამოცემული




ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.

კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ. ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.

ადრესი: Типографія „Сорапань“. Гачечиладзе. (15—7)

# სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო-უგურული“ ქუთაისში.

● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—7)

# პროვოდნიკის

1897 წ. 1908 წ. 1888

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Р Ф В ПРОВОДНИКЪ РИГА Т Р Т

# ამხანაგობა

რ ი გ ა შ ი

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასებში.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ლრუბელი;**

**საცარცხლები** რქის რეზინისაგან;